



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

დადგენილება № 06-01/40

ქ. ბათუმი

29 მარტი, 2023 წ.

**ბსუ-ს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 23 0000310910, 20.03.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. სტუდენტთა გამოვითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად დამტკიცდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები წინამდებარე დადგენილების N1 დანართის სახით.

2. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ ბსუ-ს ფაკულტეტებს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.


3. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (ადმინისტრაციულ თანამდებობის პირებს, დარგობრივ დეპარტამენტებს, დეკანების ოფისებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ბუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაშვილი

დანართი 1.

ბსუ-ს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის რეკომენდაციები

**1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების
მიზნით განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:**

1.1. სასურველია საგამოცდო ბილეთს თან ერთვოდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების რუბრიკა;

1.2. საგამოცდო ნამუშევრის გასწორებისას მიზანშეწონილია კურსის განმახორციელებელი პერსონალი (ლექტორი) დაეყრდნოს არამხოლოდ სტუდენტის მიერ შესრულებული ნამუშევრის მოცულობას, არამედ სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების კომპონენტებს. ასევე აუცილებელია, ლექტორის მხრიდან ცალკეული საკითხის მიხედვით ცოდნის გაზომვადობის თვალსაზრისით, შეფასებები გაკეთდეს საგამოცდო ბილეთის თითოეული კომპონენტის მიხედვით;

1.3. საგამოცდო ქულების ელექტრონულ ჟურნალში ასახვა განხორციელდეს დროულად;

1.4. საგამოცდო ბილეთების შედგენის პროცესში ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდებულია მომზადების პროცესში პროგრამის/მოდულების ხელმძღვანელების ჩართულობა და მათთან კოორდინირებული მუშაობა;

1.5. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშების მომზადება, შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე განხილვა და პროგრამის ეტაპობრივი განვითარების ისტორიის შექმნა.

**2. ზუსტ მეცნიერებათა ფა განათლების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის
გაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:**

2.1. სასურველია შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ორგანიზება გაუწიოს ყოველი სემესტრის დასასრულს ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროგრამის განხორციელების ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით;

2.2. იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებსაც დღემდე არ აქვთ განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები, შემუშავდეს გონივრულ ვადაში;

2.3. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ დადგენილი წესისამებრ მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშების მომზადება;

2.4. სტუდენტთა გამოკითხვების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს სილაბუსების გაანალიზება/განახლება;

2.5. ეთხოვოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ხელმისაწვდომობა;

2.6. ეთხოვოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით შემუშავებულ დიაგრამებში (რაც განთავსებულია ბსუ-ს პორტალის ველში) გამიჯნოს სტუდენტის შეფასებისათვის განსაზღვრული დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი (მაგ. 17-დან 20-მდე და 20-დან 30-მდე), რაც მოგვცემს საშუალებას უფრო ნათლად დავინახოთ აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები.

3. ტურიზმის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:

3.1. რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაზუსტდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ფორმატი და საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა;

3.2. აუცილებელია სტუდენტის საგამოცდო ნაშრომი შეფასდეს საგამოცდო ბილეთით გათვალისწინებული ცალკეული კომპონენტის მიხედვით.

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:

4.1. მიზანშეწონილია ერთიდაიგივე სასწავლო კურსის განმახორციელებელ პროფესორ-მასწავლებელთა კოორდინირებული მუშაობა და თანამშრომლობის გაძლიერება;

4.2. მნიშვნელოვანია საგამოცდო მასალებში შესასრულებელი დავალების სირთულესა და შეფასების კრიტერიუმებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა;

4.3. აუცილებელია გამოცდების ჩატარების ორგანიზება ბსუ-ს მიერ დადგენილი გამოცდების ჩატარების წესის დაცვით (გამოცდისთვის განსაზღვრული დროის დაცვა);

4.4. საგამოცდო საკითხების მოცულობა და საგამოცდო დრო უნდა იყოს ერთმანეთის რელევანტური;

4.5. მნიშვნელოვანია იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელთაც უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მცირე გამოცდილება აქვთ, ჩაუტარდეთ დამატებითი კონსულტაციები გამოცდების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

5. ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:

5.1. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსში დაზუსტდეს დასკვნითი გამოცდის ფორმატი - სავალდებულო ხასიათი მიიღოს მრავალკომპონენტიანმა ფორმამ (ღია და დახურული ტესტი, ამოცანა, თეორიული საკითხი და სხვ.);

5.2. სასურველია მოხდეს საგამოცდო ტესტების განახლება, სწავლის დაგეგმილი შედეგების მიღწევისა და გაზომვადობის მიზნით;

5.3. სასურველია თითოეული სასწავლო კურსისთვის, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, სწავლის და თვითგანვითარების უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებელი მრავალფეროვანი დავალებების (საშინაო დავალებების, პრეზენტაციების, დისკუსიის თემების და სხვ.) ბაზის შექმნა;

5.4. რეკომენდებულია პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების დაგეგმვა/ჩატარებისას წინასწარ იქნას უზრუნველყოფილი საჭირო რესურსების მობილიზება;

5.5. მიზანშეწონილია, ბსუ-ს პორტალის მეშვეობით გამოკითხვებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებთან მუშაობა.

6. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:

6.1. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსში დაზუსტდეს დასკვნითი გამოცდის ფორმატი - სავალდებულო ხასიათი მიიღოს კომბინირებულმა ფორმამ (საგამოცდო ბილეტი სტრუქტურის მიხედვით იყოს მრავალკომპონენტიანი);

6.2. მიზანშეწონილია საგამოცდო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, ზეპირი გამოცდების ჩატარების დრო გაიმიჯნოს წერითი გამოცდების დროსთან მიმართებაში;

6.3. სასურველია, სასწავლო დეპარტამენტმა უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელებისთვის გამოკითხვის შედეგების ხელმისაწვდომობა;

6.4. სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტებს გამოცდებზე დაუშვებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საგამოცდო სესიის დაწყებამდე გონივრულ ვადაში.

7. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

7.1. რეკომენდებულია მოდულში შემავალი სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს შორის შეთანხმებული მოქმედება (საგამოცდო მასალის მომზადების პროცესში);

7.2. სასურველია, საგამოცდო სივრცეში საგამოცდო მაგიდების ეფექტური განლაგება, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტებს შორის საუბარი (დახმარება/კარნახი) და გადაწერის მცდელობა;

7.3. იმ სასწავლო კურსებისთვის, სადაც სტუდენტთა რაოდენობა დიდია, დროულად იქნეს უზრუნველყოფილი ელექტრონულ ურნალში საგამოცდო ქულების ასახვა, სასურველია გამოცდა დაინიშნოს საგამოცდო სესიის არა დასასრულს, არამედ დასაწყისში, ან შუა პერიოდში, რათა კურსის განმახორციელებელმა (ლექტორმა) დროულად შეძლოს საგამოცდო ნამუშევრების შეფასება და შემდეგში ელ-ურნალში ასახვა.

7.4. აუცილებელია საგამოცდო საკითხების მოცულობა და საგამოცდო დრო იყოს ერთმანეთის რელევანტური.